

ლალი გულედანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**70-იანი წლების ისრაელის ქართულენოვანი ბეჭდური
პროდუქციის ძირითადი მახასიათებლები***

რეზიუმე

მსოფლიო ებრაელობის მსგავსად, გასულ საუკუნეში ქართველი ებრაელებიც დაიძრნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. პირველი ნაკადი 1970 წელს გაემგზავრა. მას მოჰყვა ებრაელების მასობრივი რეპატრიაცია („ალია“). 70-იან წლებში საქართველოდან ისრაელში ქართველი ებრაელების დიდი ტალღა დაიძრა. ახალ ქვეყანაში ასული (რეპატრირებული) ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუებისას ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა. მძიმე ეკონომიკური პირობები და ინფორმაციის არქონა ართულებდა მათ ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციას. მიუხედავად ამისა, მე-20 ს-ის 70-იან წლებში ახლად ასული ებრაელები ქმნიან ბეჭდურ პროდუქციას: პროზას, პოეზიის ნიმუშებს, პერიოდიკას და სხვ.

ქართველი ებრაელების შესახებ კვლევები მრავალ საკითხს წამოჭრის. საინტერესოა მათს ყოფასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები როგორც საქართველოში, ისე ისრაელში ასვლის შემდეგ. ლინგვისტურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ქართული ენა, სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმძიმეს ვითარებაშია, ვინაიდან ენის მატარებელთა რიცხვი ახალგაზრდა თაობაში მნიშვნელოვნად იკლებს. ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურა პირდაპირ კავშირშია ენასთან, მასთან ერთად ისიც შეიძლება დაიკარგოს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სამწერლობო ენაზე შექმნილი ქართველ ებრაელ მწერალთა შემოქმედების ანალიზი და, ზოგადად, იმ ბეჭდური პროდუქციის კვლევა (სამეცნიერო სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები, პერიოდიკა და სხვა), რომელიც ქართველი ებრაელების მიერ ისრაელში იქმნება. ამას ემატება ისიც, რომ საისტორიო წყაროებში საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ მწირი ინფორმაციაა, რის გამოც ებრაული საკითხის გასააზრებლად მათ შესახებ არსებული მოგზაურთა ჩანაწერები და შენიშვნებიც კი მეტად ფასეული ხდება. მით უფრო მნიშვნელოვანია ის ქართულენოვანი შემოქმედება, რომელიც ისრაელში იქმნებოდა. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია არის მცდელობა შეისწავლოს და დაახასიათოს ამ კომპლექსური კვლევის ერთი პერიოდის, 70-იანი წლების, ისრაელში გამოცემული ბეჭდური მასალა.

საკვანძო სიტყვები: *ისრაელი, ქართულენოვანი, ბეჭდური პროდუქცია, პროზა, პერიოდიკა*

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-21 19474) „ებრაელთა თვალთა დანახული საქართველო: „ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოში უხსოვარ დროს დამკვიდრდნენ. უფრო მოგვიანებით, შიდა მიგრაციით გადაადგილებული თუ სხვადასხვა პერიოდში მცირე და დიდ ნაკადებად შემოსული ებრაელობა საქართველოს ყველა კუთხეს მოეფინა. საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრების გამო ქართველებისა და ებრაელების ყოფას ახასიათებდა საერთო კულტურულ-ყოფითი ელემენტები, თუმცა საქართველოში ქართველი ებრაელების ებრაული იდენტობის ნიშნები ყოველთვის მკვეთრად იყო განსაზღვრული. ქართული ენა დასაბამიდან იყო მათთვის სასაუბრო ენა, კომუნიკაციის ძირითადი საშუალება. ებრაულ ენას კი მხოლოდ რიტუალური რელიგიური ენის ფუნქცია ჰქონდა და დაკარგა ყოველდღიური გამოყენების სასაუბრო ენის როლი. ებრაელები ამა თუ იმ რეგიონში ქმნიდნენ კომპაქტურად დასახლებულ უბნებს და საუკუნეების მანძილზე ერთგულად იცავდნენ ებრაულ ტრადიციებს, ბიბლიურ წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ ვალდებულებებს. სწორედ ამიტომ არ მოხდა მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირება.

რაც შეეხება 70-იანი წლების ქართულენოვანი ბეჭდური მასალის ლიტერატურულ ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, როგორც აღინიშნა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ისრაელში ახალჩასული (ישיבת ירושלים) ქართველი ებრაელები, აღმოჩნდნენ ისტორიულად მშობლიურ, მაგრამ სრულიად უცხო, ახალ გარემოში. ახალმა რეალობამ მათ წინაშე პირველი რიგის ამოცანად დასახა ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე ზრუნვა, რაც არც თუ ისე ადვილი იყო, თუნდაც იმის გამო, რომ ქართველი ებრაელების ამ ნაკადის წარმომადგენლებმა არ იცოდნენ ებრაული ენა. ისრაელის სახელმწიფოს ფორმირების პირველ წლებში კი სახელმწიფო ენის - ივრითის - ცოდნის მიმართ მკაცრი მიდგომა არსებობდა. ენის უცოდინრობისა და სხვადასხვა ხასიათის სოციალური პრობლემის (ძალიან ცოტამ შეძლო თავისი სპეციალობით სამსახურისა და სასურველ ლოკაციაზე საცხოვრებლის პოვნა და ა.შ.) გამო მათ განსაკუთრებით გაუჭირდათ ახალ გარემოსთან ადაპტირება, რის გამოც ნაწილი ძლიერ ნოსტალგიას განიცდიდა. ასეთმა სოციალურმა ფონმა, რა თქმა უნდა, ზეგავლენა იქონია ქართველი ებრაელების 70-იანი წლების შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხსა და ხასიათზე. ამ პერიოდის პროზაული წერილობითი ძეგლები რაოდენობრივად მცირეა და თემატურად და ჟანრობრივად არაა იმდენად მრავალფეროვანი, რამდენადაც მომდევნო პერიოდის ბეჭდური მასალა. იმის გათვალისწინებით, რომ ებრაელის ყოფა, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, რელიგიური წეს-ჩვეულებებით რეგულირდებოდა, მოსალოდნელი იყო წერილობით ძეგლებში რელიგიურ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების არსებობა, თუმცა პირიქით, 70-იანი წლების ნაბეჭდ მასალაში თითქმის არ არის არცერთი რელიგიური ხასიათის ნაწარმოები.

გამოვყოფთ ამ პერიოდის მწერლობის რამდენიმე მახასიათებელს:

ქართველ ებრაელთა შესახებ წყაროების მოძიების პროცესმა გვიჩვენა, რომ მათ შესახებ ინფორმაცია როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე მოგზაურთა აღწერილობებში, საკმაოდ მწირია, ამიტომ, როგორც აღინიშნა, ამ ფონზე ებრაელობის საკითხის შესასწავლად უდიდეს დატვირთვას იძენს და განსაკუთრებით ფასეული ხდება ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი ყველა ჟანრის პროდუქცია (სამეცნიერო კვლევები, მხატვრული ნაწარმოებები, პერიოდიკა და სხვა).

პოლიტიკური თემატიკის ბეჭდურ პროდუქციაში გამოვყოფთ 1976 წელს ქალაქ თელ-ავივში გამოცემულ **დავიდ და გერცელ ბააზოვების შესახებ წიგნს**¹, რომელიც შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ფანი ბააზოვმა. წიგნში გადმოცემულია საქართველოში ებრაელთა სათვისტომოს ერთ-ერთი ლიდერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოში სიონისტური მოძრაობის სულისჩამდგმელის, რაბინ დავით ბააზოვის სტატიები, მოსაზრებები რელიგიასა და სიონისტურ მოძრაობაზე, წარმოდგენილია მისი წერილები პოლიტიკურ და სხვა თემატიკაზე. კრებულში შედის ასევე მისი ვაჟის, მწერალ გერცელ ბააზოვის შემოქმედების ნიმუშები: პოეზია, სტატიები, პუბლიცისტიკა. წიგნში უხვად არის მოგონებები და სტატიები ქართველ ებრაელთა განათლებისა და პროგრესის საქმეში დიდი წვლილის შემტან მამა-შვილზე და საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს არა მხოლოდ მათს საქმიანობასა და შემოქმედებით ღვაწლზე, არამედ, ასევე, ნათელ სურათს ქმნის XIX - XX საუკუნეების ქართველ ებრაელთა პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობასა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ქართველი ებრაელების ერთ-ერთი ლიდერის, სიონისტური მოძრაობის წარმომადგენლის, **ნათან ელიაშვილის წიგნი „ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში“**,² რომელიც 1975 წელს გამოიცა თელ-ავივში. ეს წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: ქართულენოვან ნაწილშია ნათან ელიაშვილის მიერ ნათარგმნი „გალობა-გალობათა სოლომონის“, რომელმაც იმთავითვე მაღალი შეფასება დაიმსახურა და გახდა მეცნიერთა კვლევის საგანი.³ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში „გალობა-გალობათა სოლომონის“ (წიგნის ებრაული სახელწოდებაა šir hašširim 'ašer lišlomo, ხოლო ქართულში დამკვიდრებული ტრადიციული სათაურით – „ქება ქებათა“) უშუალოდ ებრაულიდან ორჯერ ითარგმნა ქართულ ენაზე. ტექსტის პირველი მთარგმნელი გერცელ ბააზოვია. მოგვიანებით კი წიგნი ნათან ელიაშვილმაც თარგმნა. ქართულენოვან ნაწილში შედის გ. კერესელის წერილიც - „გადაკარგული ტომის მოძღვარი“, რომელშიც ნათან ელიაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების გარდა, საუბარია მის ღვაწლსა და დამსახურებაზე ქართველი ებრაელების ეროვნული გამოღვიძების საკითხში.

ამავე კრებულში მოცემულია ნათან ელიაშვილის ქართულენოვანი სტატია „ებრაული ენა და ებრაელი ერი“, სადაც ავტორი საუბრობს ებრაული ენის განვითარების ეტაპებზე, მოკლედ მიმოიხილავს მათ და აღნიშნავს, რომ „ებრაულმა ენამაც გაიარა ყველა ის საფეხურები და ცვლილებანი, რაც სხვა ცოცხალმა ენებმა. მაგალითად, ბიბლიის, მიშნისა და გემარის ენა ბევრით განსხვავდებიან ურთიერთისაგან წერისა და გამოთქმის მანერით. ეტყობა ენას თანდათანობითი განვითარება და ყველა, თითოეული ამ ნაწარმოებთაგანი, ატარებს თავისი ეპოქის ელფერს...მართალია ბევრი რამ არის უცნაური და

¹ ფანი ბააზოვი, დავით და გერცელ ბააზოვები, ებრაული უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ-ევროპის ებრაელობის დოკუმენტაციის ცენტრი, ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება, თელ-ავივის უნივერსიტეტი, 1976.

² ნათან ელიაშვილი, ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში, თელ-ავივი, 1975.

³ ე.ნაევროზაშვილი, „გალობა-გალობათა სოლომონის“- პოეტიკა, სემანტიკა და თარგმანი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები (მიძღვნილი პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი), თეზისები, 31 მარტი 2021, გვ. 81-84

განსაცვიფრებელი ამ ენის შესახებ, იგი უცნაურია ისე, როგორც უცნაურია თვით ებრაელი ერი. მათი ბედი სწორედ წააგავს ერთმანეთს, ისინი თითქოს რაღაც ყოველივე ბუნების კანონებისა და ფარგლების გარეშე დგანან. ერი, რომელიც მოკლებულია უმთავრეს ატრიბუტებს ეროვნული არსებობისთვის საჭიროს (ტერიტორია, საერთო სალაპარაკო ენა და სხვა), მაგრამ მაინც არსებობს. ენა, რომელიც მოკლებულია ენის სიცოცხლისათვის ერთი შეხედვით აუცილებელ პირობას (მუდმივ სალაპარაკო ენად ყოფნას) და მაინც ცოცხლობს და ჰყვავის, სწორედ რომ არაჩვეულებრივია, მაგრამ ფაქტია, სინამდვილე...“. ამავე წიგნის ებრაულენოვან ნაწილში მოცემულია ნათან ელიაშვილის ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა „ქართველი ებრაელები საქართველოში და ერევ ისრაელში“, სადაც ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან ფაქტებზე. ზოგჯერ გადმოცემულია ორიგინალური მოსაზრებები. წარმოგიდგენთ ერთ-ერთის ქართულ თარგმანს: „არიან ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ებრაელები საქართველოში ქართველებზე ადრე მოვიდნენ. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის აზრით, ქართველები საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნში მოვიდნენ. იმავე ისტორიკოსების აზრით, ებრაელები საქართველოში დასახლდნენ პირველი ბეით - ჰამიკდამის (ტაძრის) აოხრების შემდეგ ან შესაძლოა კიდევ უფრო ადრე...“.⁴ ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას არ ახლავს წყაროზე მითითება, არ ჩანს რომელი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრებაა ზემოთქმული, ამიტომ მტკიცებულებების არარსებობის გამო, ეს მოსაზრება რჩება ისტორიკოსების შეფასების საგნად და სამომავლო საკვლევ თემად.

არანაკლებ საინტერესოა პოლიტიკის თემატიკაზე ქართულ ენაზე თარგმნილი 1971 წელს იერუსალიმში გამოცემული **იაკობ ცურის წიგნი „და აღდგა ხალხი“**,⁵ რომლის თარგმანი შესრულებულია ფ. ბააზოვის მიერ. წიგნის ავტორი იაკობ ცური ისრაელის პოლიტიკური წრის წარმომადგენელია, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. ეს არის წიგნი, რომელშიც აღწერილია უკანასკნელი 100 წლის მოვლენათა მსვლელობა. ეს არ არის ისტორია, ეს არის იმ ადამიანის ამბავი, რომელმაც, როგორც ებრაელმა, ისრაელელმა, სიონისტმა, იცხოვრა ებრაელი ხალხის ყველაზე მშფოთვარე პერიოდში. ავტორი იხსენებს თავისი ახალგაზრდობის პერიოდს, აღწერს გეტოს, იმ სიძნელეებს, რომლებიც ებრაელად ყოფნასა და ისრაელში ასვლას ახლდა. წიგნის წინასიტყვაობაში იაკობ ცური ქართველ ებრაელებსაც ეხება. იგი წერს: „საქართველოდან ამოსულები წინ უსწრებდნენ სიონისტურ ალიას...ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი წმინდა ქალაქ იერუსალიმში ამოიყვანა მათმა ღრმა რწმენამ...და აი, დადგა დრო, როცა მათი სიონიზმი აშკარად და ცხადად ვლინდება: ათასობით ქართველი ებრაელი ამოვიდა ჩვენთან ისრაელში. ისინი და მათი მთამომავლობა, უეჭველია, გაამდიდრებენ ჩვენი ქვეყნის ებრაულ მოზაიკას“.

70-იანი წლების ისრაელის ქართულენოვან მწერლობაში ჩნდება სხვადასხვა თემატიკაზე დაწერილი მოთხრობები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1977 წელს თელ-ავივში გამოცემული **იეჰუდა შალელაშვილის მოთხრობათა კრებული**

⁴ იქვე, 83. 21

⁵ იაკობ ცური, „და აღდგა ხალხი“, გაფანტულობის ქვეყნებში მყოფ ებრაელ თემთა გამოკვლევის საზოგადოება, იერუსალიმი, 1971.

„ქალის ამბორი“.⁶ მასში გაერთიანებულია სხვადასხვა იდეური დატვირთვის ამბავი და თემატურად მრავალფეროვანია. ამ ერთი კრებულის მიხედვით შესაძლებელია განზოგადებულად იქნეს წარმოდგენილი ისრაელში შექმნილი 70-იანი წლების მხატვრული ნაწარმოებების ძირითადი თემები და პრობლემატიკა. მათგან პირველი მოთხრობა წიგნის სათაურად არის შერჩეული, მოცულობით ყველაზე დიდია და დეტექტიურ ჟანრს განეკუთვნება. აქ მოთხრობილია დანაშაულებრივი ჯგუფის კრიმინალურ ცხოვრებაზე, რამაც ახალგაზრდა ქალი დამნაშავედ აქცია. ნაწარმოების მთავარი იდეა არის ის, რომ თუ დანაშაულის ჩამდენი მოწოდებით დამნაშავე არ არის და შემთხვევით და ძალდატანებით არის ჩათრეული კრიმინალურ სამყაროში, რის გამოც ბევრი ტანჯვა-წვალების გადატანა უწევს, საბოლოოდ მაინც სიყვარულისა და ბედნიერების ღირსია. მოთხრობაში მოქმედების ადგილი არც ისრაელია და არც საქართველო. მთავარი პერსონაჟებიც რა ეროვნებისაღი არიან ძნელი მისახვედრია, თუმცა მათ ინგლისური სახელები აქვთ (ალბერტი, ბობი, იენი, კარლი, რიტა, შერლი) და ერთ ეპიზოდში ინგლისის ქალაქებია ნახსენები. კრებული ამ პერიოდის ნაწარმოებებისგან განსხვავებულია თემატურადაც და დანიშნულებითაც, თუმცა ერთ ეპიზოდში მაინც იკვეთება ებრაელებისთვის მტკივნეული საკითხი, როცა ერთ-ერთი პერსონაჟი იხსენებს საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულ მძიმე დღეებს. ეს არ არის 70-იანი წლების ისრაელისთვის ჩვეული პატრიოტული სულისკვეთების ნარატივი, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო მოთხრობაზე **„ვინა ვარ მე?“**. მოთხრობა მონოლოგის სახით გადმოგვცემს არაბი ტერორისტის გრძნობებსა და მოსაზრებებს ებრაელების მიმართ. იგი აღიარებს, რომ ამქვეყნად ადამიანთა ბედნიერებისთვის არ არის მოსული, რომ მას ღმერთის არ სწამს, არ სწამს მუჰამედიც კი. სძულს ახალგაზრდები იმიტომ, რომ მტრებად მიაჩნია, მუდამ ომის მომხრეა, იმის მომხრეა, რომ ადამიანები სისხლში ცურავდნენ. ერთი რამ კი უკვირს და ეუბნება ებრაელებს: „მკვდარი რომ გვეგონეთ, მართლა ცოცხლებით...საიდან გაქვთ ამდენი ძალა? ფენიქსივით რომ წამოიშობოდით, კაცი ვერ გაკავებთ. რა ჰქვია ამას, პატრიოტიზმი? სამშობლოს სიყვარული? მართლა ღმერთი ხომ არ იბრძვის თქვენ მაგივრად“. პატრიოტიზმი ვლინდება მომდევნო მოთხრობაშიც **„ვინ არის დამნაშავე“**, სადაც უდიდესი მოწიწებაა გამოხატული ებრაელი ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც სამშობლოს სადარაჯაზე დგანან, ისრაელის სხვადასხვა კუთხეში ქარსა და წვიმაში, სიცხესა და ყინვაში, ყველანაირ პირობებში იცავენ სამშობლოს. ავტორი კიცხავს მათ, ვინც მანქანასაც კი არ უჩერებს სახლში მისასვლელად გზაზე გამოსულ ჯარისკაცებს.

მოთხრობა **„დედა“** ალეგორიულია და სიტყვა „დედაში“ სამშობლო უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც შორი გზებიდან დაბრუნებულ შვილებს ელოდება და გულში იხუტებს... ალეგორიულია ასევე ავტორის ორი მოთხრობა: **„რეკავდა ზარი“** და **„არჩევნები“**, სადაც მოქმედ პერსონაჟებად ცხოველები არიან გამოყვანილი. აქ წარმოდგენილია კომიტეტის არჩევნებში ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულება, როცა ყველას უნდა უფროსობა, ერთმანეთს არ აცლიან აზრის გამოთქმას, სრული ქოსია... კონკრეტულად ცხოველთა ურთიერთობის ჩვენებით, მათი ქცევების აღწერით ავტორი ადამიანთა უარყოფითი თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას

⁶ იეუდა მალელაშვილი, „ქალის ამბორი“, თელ-ავივი, 1977.

და უსამართლობას კიცხავს. ნაწარმოებში აღწერილ ცხოველებში ადამიანებია ნაგულისხმები.

შემდეგი მოთხრობა **“დოქტორ ბორმანის შეცდომა”** ოსვენციმს ეხება, სადაც ოთხი მილიონი სიცოცხლე ჩაიფერფლა კრემატორიუმში. ბორმანის შეცდომა კი ის იყო, რომ მან ვერ შეამჩნია მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, რუთის ორსულობა და ნაცვლად იმისა, რომ იგი ოსვენციმში გაემწყებინა, გაგზავნა მიუნხენის სამუშაო ჯგუფში. დოქტორ ბორმანის ეს შეცდომა მალევე გამოასწორეს მიუნხენში და ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი დააბრუნეს ოსვენციმში. მოთხრობაში გადმოცემულია რუთის განცდები თავისი მძიმე არჩევანის გამო - ინექციით მოკლა ახლადშობილი ჩვილი, რათა იგი გერმანელების ხელში არ აღმოჩენილიყო. შემდეგი ჩანახატი **„რანი ვართ“** იწყება სამშობლოს ცნებაზე მსჯელობით, სადაც ავტორი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს რეპატრიანტი ებრაელების მიმართ, რომლებიც საცხოვრებლად ისრაელში არ რჩებიან და ფიქრობენ რომელ ქვეყანაში ცხოვრება აირჩიონ. იგი ამ კონტექსტში საქართველოსაც ახსენებს და ამბობს: “თუ ვინმეს თავის სამშობლო ამერიკასა და არგენტინაში გაუცვლია, კარგი ვერაფერი გაუკეთებია. თუ ასე სურდა, საქართველოზე უკეთესი მხარე მსოფლიოში რომელი უნახავს ..ან ნახავს? ცუდი ჩანაფიქრი გამოსვლია. იქნებ იმის შიშით გავრბივართ, რომ მრავალი მტერი გვარტყია გარს და ჩვენ მცირენი ვართ?...ქვეყნად არ არსებობს პატარა ხალხი. ხალხის სიდიადე სულაც არ იზომება მათი რაოდენობით..”. ავტორის მოსაზრებით, სამშობლოს წარმატებული შენებისთვის ხალხს კავშირი უნდა ჰქონდეს ზემდგომ ორგანოებთან, რისთვისაც აუცილებელია პრესა, გაზეთი. იგი პროპაგანდას უწევს ამ იდეას და საუბრობს გაზეთის გავრცელების დადებით შედეგებზე. მას მიაჩნია, რომ გაზეთის არსებობისა და მისი გამოცემისთვის ხალხის ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო.

მოთხრობა ბანძის შესახებ სათაურით **„ბანძის ისტორიიდან“** არის ამდოღში მცხოვრები 80 წელს მიღწეული მოხუცის, განათლებული და სასიამოვნოდ მოსაუბრე ადამიანის, იაკობ აჯიაშვილის ნაამბობი. ინტერვიუერი მოთხრობის ავტორია. რესპოდენტი საუბრობს საკუთარი გვარის წარმომავლობაზე, ყვება თავის ბიოგრაფიასა და ეპიზოდებს ბანძაში გატარებული წლებიდან, ეხება ბანძელი ებრაელების საქმიანობასა და რელიგიურ ცხოვრებას, სალოცავებს, ხახმებს. გამოყოფს ბანძაში მცხოვრებ მდიდარ ადამიანებს, თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ სიმდიდრე არ უზრუნველყოფდა მათ ბედნიერ ცხოვრებას, პირიქით, სიმდიდრის გამო მათ ხშირად ავიწროებდნენ კიდეც, მაგრამ ისინი ყველაფერს იტანდნენ, უნდოდათ შვილებისთვის უზრუნველი ცხოვრება შეექმნათ. ბანძის ისტორიებიდან ცალკეა გამოყოფილი მათი ტრაგიკული ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, ახალგაზრდა ექიმის, რაფო სეფიაშვილის მკვლელობის ამბავი, რომელიც მშობლების დაცვის გამო ბანდიტების თავდასხმის მსხვერპლი გახდა. ინტერვიუში რესპოდენტი ყვება საბჭოთა პერიოდის ბანძის შესახებ. მისი თქმით, „როგორც ქუხდა, ისე არ წვიმდა ... არავის მოუკლავს და გაუნადგურებია ებრაელები“ და იგი ჩამოთვლის იმ სასიკეთო ძვრებს, რაც ამ პერიოდში განხორციელდა: შეიქმნა ებრაელებისთვის “ღარიბკომი”, ებრაელთა კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯი“, სხვადასხვა საწარმოები: საფეიქრო, სამკერვალო, საკონდიტრო, ფეხსაცმლის, ლიმონათის ქარხანა. ბანძის კულტურულ ცხოვრებაში და სიონისტურ მოძრობაში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი ებრაელობის წარმომადგენლებიც, რომელთაც დიდი წვლილი

შეიტანეს ამ მიმართულებით, თუმცა ყველაფერმა ამან ვერ გააუმჯობესა ბანძის ებრაული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და მათ იწყეს გადასახლება უფრო განვითარებულ ქალაქებსა და რაიონებში. აღნიშნული ჩანართი ბანძის ისტორიიდან, რომელიც ინტერვიუს სახით არის ჩაწერილი, ზემოთ ჩამოთვლილ მოთხრობებში გამორჩეულია ფორმითაც და იმითაც, რომ ის რეალური პირის მიერ არის გადმოცემული, ნამდვილ ფაქტებს შეიცავს, რის გამოც ბანძის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრებისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს.

კრებულში შედის მოთხრობა „**ძია გაბო**“, რომელიც შესავლის ინფორმაციაზე დაყრდნობით არ არის რაიმე მეცნიერული წყაროს მიხედვით გადმოცემული ამბავი, არამედ ავტორის ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟის, გაბოს ცხოვრების ეპიზოდებისგან შედგება. როგორ შეიძლება დავახასიათოთ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი გაბო. ის არის საქართველოს მოყვარული ისრაელის პატრიოტი მოქალაქე, რომელსაც ორივე ქვეყნის წარმატება ახარებს. თბილისის „დინამოს“, გამარჯვებით მიღებულმა სიახარულმაც კი შესაძლებელია ქეიფის ხასიათზე დააყენოს, მაგრამ სადღეგრძელოს წარმოთქმისას არ ავიწყდება ისრაელის კალათბურთელები და ორივეს ერთნაირად უსურვებს წარმატებას. ძილის წინ „ვეფხისტყაოსანს“, კითხულობს. ხშირად იხსენებს ახალციხეს, სადაც პირველი შვილი შეეძინა და თბილისს, სადაც ისრაელში „ამოსვლამდე“ ცხოვრობდა. იქაც და აქაც ერთი და იმავე საქმით, ფეხსაცმლის შეკეთებით იყო დაკავებული. მისი მშობლიური ენა ქართულია, რუსულიც იცის, მაგრამ ივრითის სწავლა გაუჭირდა. მოთხრობაში იუმორისტულად არის აღწერილი ენის უცოდინრობით გამოწვეული უხერხულობები. იგი ხშირად ახსენებს გაზეთ „იმედს“, რომელიც ისრაელში რეპატრირებული ქართველი ებრაელებისთვის პირველი პერიოდული გამოცემა და მათთვის ერთადერთი საინფორმაციო წყარო იყო. მოთხრობაში ცალკე თავად არის გამოყოფილი ქორწილის სცენა, სადაც ისრაელში ქართველი ებრაელების საქორწინო ტრადიციაც არის წარმოდგენილი. ებრაელები ძირითადად ქორწილებში ხვდებიან ერთმანეთს და აქ იგებენ ახალ ამბებს. ძია გაბოს განსაკუთრებით ამფოთებს არასრულწლოვანი ახალგაზრდების შეუღლება და ანგარებიანი, გამდიდრების წყაროდ ქცეული ქორწილები. სიზმარში მამაზეციერთან მისი გასაუბრებაც იუმორისტულ ხასიათს ატარებს, გამოხატულია უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდების მყისიერად გათანამედროვეების თაობაზე, ასე მარტივად რომ იცვლიან ჩაცმის სტილს და თითქმის „გამიშვლებულები“ სამარცხვინოდ გამოიყურებიან. მათ შორის მისი ქალიშვილი ეთერიც, რომელიც საქმროსთან ერთად მამასთან ქორწინებაზე თანხმობის მისაღებად არის მისული, ზედმეტად გამომწვევად გამოიყურება.. მოთხრობის ბოლო მონაკვეთში ძია გაბოს მიერ ისრაელის დიდ სიყვარულთან ერთად, იერუსალიმსა და თბილისს შორის მეგობრული ხიდის გადების იმედია გამოხატული.

კრებულის შემდეგი მოთხრობაა „**გასაუბრება დროსთან**“, სადაც ავტორისა და დროის დიალოგია მოცემული. რადგან მას დროსთან მეცნიერული მსჯელობა არ შეუძლია, აპირებს მხოლოდ სატირულ-იუმორისტულად ისაუბროს. დროსთან შეხუმრებული ავტორი მას მიუთითებს იმაზე, რომ აქ, ისრაელში, დემოკრატიაა და ყველას შეუძლია თავისი მოსაზრების გამოთქმა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ხშირად ადამიანები ანგარებით მოქმედებენ. მაგალითად, არჩევნების დროს ხალხს ათას რამეს ჰპირდებიან, მაგრამ როგორც კი არჩევნები

დასრულებდა, თავიანთი დაპირებები არ ახსოვთ... ისრაელელებიდან ბევრს არ სურს ღმერთს ემსახუროს. მხოლოდ მაშინ ახსენდებათ იგი, როცა სჭირდებათ. ებრაელს ისრაელის სახელმწიფოში რატომ უნდა სჭირდებოდეს აგიტაცია, შენი რწმენა დაიცავიო. ჩვენ სხვაგან, საქართველოში, ვიცავდით რწმენას და აქ რა ხდება? ებრაელი ახალგაზრდა რატომ უნდა ამბობდეს მე დათიმი (მორწმუნე) არა ვარო - კითხულობს გოცებულები... ვისაც ღმერთის შიში აქვს, მას სახელმწიფოც უყვარს და დანაშაულს არ ჩაიდენს. ყველა იტყვის: ისრაელი სახელმწიფოა, იცავენ მას, რაც მომეს თორამ დაუწერაო. რაც შეეხება დროსთან საუბრის გაგრძელებას, შემდეგ მოთხრობაში **„გაუთვალისწინებელი შეხვედრა დროსთან“** უკვე სხვა საკითხებია წამოჭრილი. ყველა დროს თავის პრობლემა მოაქვს. ამჯერად ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს ისრაელში მძიმე სოციალური მდგომარეობისა და ფასების მომატების გამო. ადარებს საქართველოში თავის ყოფას და ამბობს: „იქ ასე რომ გვემსახურა, შრომის გმირები ვიქნებოდით. აქ დღეს რომ სამსახურში მიხვალ, ხვალ გამოგდების შიში გაქვს. საქართველოში ჩვენი ქალები ბაზარში არ გადიოდნენ სურსათის საყიდლად, აქ დღე და ღამე მუშაობით სულს ღაფავენ. ოცდახუთი წუთით რომ გადაამეტო, მაღლობას არ გეტყვიან და ერთი წუთით ადრე რომ წახვიდე, ნახევარ საათს გაკლებენ. ტკბილი ცხოვრება ტანჯვა-შრომაში გავცვალეთ. ამენებული სართულები სხვას დაუტოვეთ, აქ ქვის ლოდებში შევსახლდით“. ავტორი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის იმას, რომ ადგილობრივები ქართველ ებრაელებს „მელუხლახებს“ ანუ ბინძურებს ეძახიან მაშინ, როდესაც თვითონ სიბინძურეში ხდებოდათ სული... უსამართლობად მიაჩნია ის, რომ სტუმრად მოსულებს ადგილობრივებმა ცუდი მასპინძლობა გაუწიეს, თუმცა ავტორი წერილს მაინც ოპტიმისტური განწყობით ასრულებს, რომ მოვა ახალი, გამარჯვების დრო, მთელი მსოფლიო გაიცნობს ებრაელ ერს, ებრაულ სახელმწიფოს.

მოთხრობაში **„იმ ავბედ დღეთა მოსაგონებლად“** მოთხრობილია ესპანეთის ინკვიზიციის პერიოდის საშინელი რეალობის შესახებ, როდესაც არაქრისტიანებს გაუსამართლებლად აწამებდნენ და ცოცხლად წვამდნენ. ღმერთის მსახური ინკვიზიტორები დაუნდობლად სპობდნენ ადამიანების სიცოცხლეს. განსაკუთრებული ტრაგედია ებრაელთა უბანში დატრიალდა, სადაც თითქმის ყველა ოჯახიდან წაიყვანეს ოჯახის უფროსი საწამებლად რჯულის შეცვლის მიზნით. ჯურღმულები გაივსო უდანაშაულო ადამიანებით. თუ ისინი რჯულს არ დათმობდნენ, ცოცხლად დაიწვებოდნენ. ისრაელელები მყარად იდგნენ თავიანთ რჯულზე და სიცოცხლის ფასადაც კი არ თმობდნენ მას. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ებრაელი იეუდა ინკვიზიტორებმა ვერაფრით ვერ გატეხეს. ყველასგან მოულოდნელად უკვე დასაწავად გამზადებული, იგი იცვლის აზრს და განაცხადებს, რომ მზად არის მიიღოს ქრისტეს რჯული. მართალია, მაშინ ყველა გოცებულები დარჩა იეუდას მოულოდნელი გადაწყვეტილებით, მაგრამ მოთხრობაში გადმოცემული შემდეგი ეპიზოდებით ნათელი ხდება, რომ ებრაელთა გარკვეული ნაწილი თითქოს თანხმდებოდა რწმენის შეცვლას, ჯვარიც ეკეთათ, სამოსიც მღვდლისა ეცვათ, მაგრამ ფარულად მაინც თავიანთ რწმენას მისდევდნენ. მოთხრობაში ორი ასეთი პერსონაჟი გამოყვანილი: იეუდა და მის მიერ გადარჩენილი ერთ-ერთი მინისტრი, რომელიც რწმენისთვის წამებული ებრაელი მორდენია, თითქოს რწმენაშეცვლილია, თუმცა თავისი მინისტრობის

დროს მალულად მაინც მისდევს მამ-პაპათა რწმენას, იღებს თეფილინს და ციციტს, კითხულობს თორას, ცხადად კი ემსახურება ურჯულოებს.

კრებულში უკანასკნელი მოთხრობაა „მოხუცი და შვილიშვილი“, სადაც გადმოცემულია ახალგაზრდა ებრაული ოჯახის უმძიმესი ცხოვრება. სიუჟეტი ძალიან პრიმიტიულია და ზღაპარივით ბედნიერი დასასრული აქვს. მიხეილი და ივლითი სიყვარულით შეუღლდნენ, რითაც გაანაწყენეს ივლითის მამა, მდიდარი და წარმატებული ექიმი, რომელსაც სიძე არ მოსწონდა და ქალიშვილის არჩევანი უსამართლოდ და არასწორად მიაჩნდა. ამის გამო მამამ შვილთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა, არანაირი დახმარება არ გაუწია მას და როცა ვალებში ჩავარდნილი და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ოჯახი პატარა ბავშვებით დასახმარებლად მიადგა მას, კარიც კი არ გაუღო. ვალების გამო მთელი ოჯახი დააპატიმრეს და ცივ და გაუსაძლის პირობებში, სატუსაღოში ამყოფეს, რასაც უმცროსმა შვილმა, ელდარმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. მიხეილისა და ივლითის ციხიდან გაპარვა, ციხის ზედამხედველის მოულოდნელი გამოჩენის გამო, მძიმე შედეგით დასრულდა. მათ ვერ მოახერხეს ვაჟიშვილთან, დავითთან ერთად გაქცევა. ბავშვი იშვილა და გაზარდა იმ ადამიანმა, რომელიც მათ გაქცევაში დაეხმარა. წლების შემდეგ, როცა დავითმა გაიგო, რომ ნაშვილები იყო, მოინდომა მშობელების პოვნა და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ შემთხვევით მიაგნო უკვე გამდიდრებული ოჯახის როგორც ძველ წევრებს, ისე მისთვის უცნობ და-ძმას და გაიცნო ბაბუა, რომელიც მის მიერ გაძევებულ ქალიშვილს, ივლიტს, მთელი ცხოვრება ეძებდა.

ზემოთ განხილულია XX საუკუნის 70-იან წლებში ისრაელში წიგნად გამოცემული ბეჭდური პროდუქცია. აღსანიშნავია ის, რომ ამ პერიოდში ქართველი ებრაელებისთვის, განსაკუთრებით კი შემოქმედი ინტელიგენციისთვის, უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა გაზეთ „ალიას“ გამოცემა. იმის გამო, რომ ისრაელში ქართულ ენაზე ბეჭდური ორგანო ჯერ კიდევ არ არსებობს და ამ მიზეზით გამოქვეყნებული ცალკეული წიგნების რიცხვი მცირეა, რომანების, მოთხრობებისა და ლექსების გამოცემა იტვირთა ახლად დაარსებული პერიოდული გაზეთის, „ალიას“ რედაქციამ (რედაქტორი აბრაამ საპირი).

გაზეთი „ალია“ 70-იანი წლების ქართველ ებრაელთა მონაპოვარია ისრაელში, რომლის გამოცემას წინ უძღოდა საკმაოდ რთული ისტორია, თუმცა ბევრი წინააღმდეგობისა და კონკურენციის მიუხედავად, ძნელბედობისა და ფინანსური კრიზისის პირობებში, მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით გაზეთი მაინც იბეჭდებოდა. მრავალფეროვანი იყო გაზეთის თემატიკა, ბევრი სხვადასხვა რუბრიკით შექდებოდა ისრაელსა და საზღვარგარეთ მომხდარი ფაქტებიც, სიახლეები, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გაზეთ „ალიას“ ლიტერატურული რუბრიკა. ისრაელის ყველა სხვა საგამომცემლო ორგანოსგან განსხვავებით, გაზეთმა „ალიამ“ საგაზეთო რუბრიკების გარდა, ფართოდ გააშუქა ქართველ ებრაელ ავტორთა შემოქმედება. გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდნენ უცნობი პოეტები და მწერლები, რომლებიც თანდათან იხვეწებოდნენ, ოსტატდებოდნენ და დროთა განმავლობაში ცნობილ შემოქმედებად ჩამოყალიბდნენ. პირველ ავტორებად უნდა გამოიყოს პოეტი იოსებ კრიხელი და მწერალი იუდა შალელაშვილი, რომლებიც „ალიასთან“ დაარსების დღიდან თანამშრომლობდნენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს დანარჩენი შემოქმედნიც, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს გაზეთის პოპულარიზაციის საქმეში. ესენი

არიან: ესთერ თეთრუაშვილი, როზა აბნერაშვილი, ნათელა ხუხაშვილი, დოდო ხუხაშვილი, რომან იაკობაშვილი, შალვა მოშიაშვილი, სიმხა აჯიაშვილი, თინა შიმშიაშვილი, სარა ხარუნი, ხანან ლევიაშვილი, დანი ლევიაშვილი, რუსუდან ხოტოველი, იამზე წვენიაშვილი, მზია წიწუაშვილი, ილო წვენიაშვილი, იაკობ ჩიკვაშვილი, თამარ სეფიაშვილ-მოდღვრიშვილი, იორამ სეფიაშვილი, შალვა მანაშეროვი, სიმა ქოენიშვილი, სებია მანაშეროვი და სხვები.⁷

გაზეთ „ალიას“ ავტორთა ასეთი სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ლიტერატურული რუბრიკა მდიდარი იყო პუბლიკაციებით და მის ფურცლებზე დიდი რაოდენობით მხატვრული ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილი იბეჭდებოდა. მათი რაიმე სისტემით, სრულყოფილად ან თუნდაც ნაწილობრივ ერთ სტატიამი განხილვა შეუძლებელია, ამიტომ ქვემოთ საწინამდებარე არის წარმოდგენილი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (1978 წლის აგვისტო) ლიტერატურის რუბრიკაში გამოცემული თემატურად განსხვავებული პუბლიკაციების მხოლოდ მცირე ნაწილი, რამდენიმე მოთხრობა, რათა თვალსაჩინო გახდეს 70-იანი წლების ქართველი ებრაელი ავტორების შემოქმედებითი სულისკვეთება და მათი მხატვრული ქმნილებების ძირითადი მახასიათებლები.

1978 წელს დაიბეჭდა მზია წიწუაშვილ-ციციაშვილის მოთხრობა „**სიცოცხლე გრძელდება**“⁸, რომელშიც გადმოცემულია ერთი თბილისური ოჯახის ისტორია. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი მედიკო მძიმე ავადმყოფია. მას რთული ბედი ერგო: ომმა ახალგაზრდა მეუღლე წაართვა, მცირეწლოვან გოგონას, ანას კი, დიდი წვალებითა და რუდუნებით ზრდიდა. ბევრს შრომობდა, მაგრამ შვილს არაფერს არ აკლებდა. თავის მხრივ ანაც საწინამდებარე სწავლით უფასებდა ამაგს და სკოლაც წარჩინებით დაასრულა, თუმცა დედის ავადმყოფობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა. ანა გამორჩეული იყო როგორც გარეგნობით, ისე სწავლით. სწავლაში გამორჩეული იყო, ასევე, მისი პირველი სიყვარული რამაზ მაღალაშვილი, რომელიც სკოლის გამოსაშვებ საღამოზე გამოუტყდა გულისსწორს, რომ სასწავლებლად ლენინგრადში მიემგზავრებოდა. მალე ანას დედა გარდაიცვალა და იგი, მარტოდ დარჩენილი, უსუსურად გრძნობდა თავს. ამან განაპირობა მისი შემთხვევითი ქორწინება და სრულიად შეუფერებელი ქმრისა (გივისა) და დედამთილის (ვერიკოს) გარემოცვაში ყოფნა, რასაც წერტილი დაუსვა მისი ქმრის ფიზიკური ძალადობით გამოწვეულმა ფეხმძიმობის შეწყვეტამ. მიუხედავად იმისა, რომ ანას მამამთილი ვალიკო მუდმივად იცავდა და თანაუგრძნობდა მას, ანას იმ ოჯახში ცხოვრება აღარ შეეძლო. იგი გაიქცა, თუმცა წასასვლელი არსად არ ჰქონდა. ანა, მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ბოლომდე არ გაიწირა და სრულიად შემთხვევით გაიცნო უკეთილშობილესი ქალბატონი, მართა, რომელმაც თავის ზღვისპირა სახლში ოთახი გამოუყო და ისე პატრონობდა და ზრუნავდა მიუსაფარ და ობოლ გოგონაზე, როგორც საკუთარ შვილიშვილ დავითზე, რომელსაც საბოლოოდ შეუყვარდება ანა და მასზე იქორწინებს. მოთხრობის კულმინაცია კი ფინალშია, როცა მათი უფროსი ვაჟიშვილის, მერაბის ქორწილში ანა თავის პირველ სიყვარულს, რამაზს გადაეყრება, რომელიც პატარძლის მამა

⁷ გაზეთი „ალია“, რედ. აბრაამ საპირი, N350, 30.11.1978

⁸ გაზეთი „ალია“, რედ. აბრაამ საპირი, N332, 04.08.1978

აღმოჩნდება. ანას განგებამ არც მისი პირველი სიყვარული დააკარგვინა, რომელიც მისთვის სამუდამო მეგობრად და მოყვრად დარჩება.

მოთხრობა დაწერილია სალიტერატურო ქართულით. არც პერსონაჟები, არც მათი სასაუბრო ენა და არც მასში აღწერილი რეალობა არ ატარებს ებრაული იდენტობის არანაირ მახასიათებელს.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ცნობილი ებრაელი მწერლისა და მთარგმნელის „**დოვ (ბორის) გაპონოვის დედის მოგონებებს**“.⁹ ბერტა გაპონოვის ჩანაწერების მიხედვით, 1934 წელს ტრადიციულ ებრაულ ოჯახში დაბადებული ბორის (დოვ) გაპონოვი თანატოლებისაგან ბავშობიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით და მუდამ მარტოობისკენ მიილტვოდა. 5 წლის დოვი თავისუფლად წერდა და კითხულობდა რუსულად, რასაც დაემატა ივრითისა და იდიშის შესწავლა. მის პიროვნულ და ჭეშმარიტ ებრაელად ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ბაბუამ, რაბი მაზესმა, რომელიც დოვში ხედავდა იშვიათ ნიჭს და საჭიროდ მიაჩნდა მისი განვითარება. იგი ცდილობდა შვილიშვილისთვის გადაეცა ენების ცოდნა, ებრაელი ერის სიყვარული, რელიგიური ჩვევები, ებრაული კულტურის საფუძვლები და მოქცევის წესები. თავდაპირველად ოჯახი ცხოვრობდა ქ. ევპატორიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ბორის გაპონოვის ოჯახი ევაკუირებული იყო ყუბანში, შემდეგ კი მოსკოვიდან მოსული ბრძანებით ისინი საქართველოში გადააგზავნეს. მათ საკმაოდ რთული გზა გამოიარეს, გერმანელების ბომბებს რომ გადარჩენოდნენ, დიდ თოვლსა და სიცხეში უწევდათ სიარული, რამაც მათს, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობას, დიდი დავი დაასვა. ამას შეეწირა ბორისის 3 წლის ძმა. მიუხედავად მძიმე სოციალური პირობებისა (არ ჰქონდა არც ფეხსაცმელი, არც ტანსაცმელი) ბორისი წარმატებული მოსწავლე იყო და ძალიან ბევრს კითხულობდა. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ უნდოდა საბუთების თბილისში გადმოტანა, მაგრამ უარი უთხრეს, რასაც ბორისი ძალიან განიცდიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 15 წლის ასაკში ბორისმა (დოვმა) პირველად თარგმნა ლერმონტოვის ლექსი ივრითზე, რასაც შემდგომში დაემატა გამოჩენილი პოეტების თარგმანები. თარგმნის პროცესი მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ლიტერატურის ძეგლის, „ვეფხისტყაოსნის“ ივრითზე გენიალურად შესრულებული თარგმანით. ასევე, უსმენდა რა „ისრაელის ხმას“, იგი სისტემატურად იწერდა ახალ სიტყვებს ივრითზე და შეადგინა 5000 სიტყვისაგან შემდგარი ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. ომის დასრულების შემდეგ ბორისის ოჯახი საბოლოოდ საცხოვრებლად ქუთაისში დამკვიდრდა. ქალბატონი ბერტა აღნიშნავს, რომ მის შვილს „არა მარტო ქართული ენა, არამედ ეს ხალხი, მათი ჩვევები და წარსულიც შეუყვარდა. დოვმა ღრმად შეისწავლა მე-12 საუკუნის ძველი ქართული ენა და შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში თავისი სული ჩაექსოვა...“. ბორისის ტრაგიკულ ცხოვრებაში კი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა ჯარში გაწვევა საქართველოდან ჩრდილოეთში, რაც მაშინ არსებული წესების დარღვევით მოხდა და რამაც მისი ჯანმრთელობა უკიდურესობამდე გაართულა. რამდენჯერმე არასწორად დასმული

⁹ გაზეთი „ალია“, რედ. აბრაამ საპირი, N333, 11.08.1978

დიაგნოზის გამო მკურნალობა ფატალური შედეგით დასრულდა. მართალია, ბორისმა ოცნება აიხდინა და მძიმე ავადმყოფი მაინც გაემგზავრა ისრაელში, მაგრამ იქ სულ წელიწადი და ორი თვე იცოცხლა და 38 წლის ასაკში, 1972 წლის ივლისში აღესრულა.

ეს პუბლიცისტური ჩანახატი, ბორის გაპონოვის დედის მოგონებები, მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: იგი არამხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე უზადოდ მთარგნელის ბიოგრაფიულ მონაცემებს გვაწვდის, არამედ გვიჩვენებს, რომ ქართული კულტურის დამფასებელი ადამიანი და „ვეფხისტყაოსანი“ ებრაელებისთვისაც ისეთივე ძვირფასია, როგორიც ქართველებისთვის. ქართველი ებრაელები „ვეფხისტყაოსანზე“ არიან აღზრდილები და, როგორც ჩანს, ძალიან დიდ დატვირთვას ანიჭებენ ამ ფაქტს, ვინაიდან შოთა რუსთაველი და მისი პოემა ხშირად იხსენიება როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე ქართველ ებრაელ შემოქმედთა წრეში. საქართველოდან ახლად რეპატრირებული ინტელიგენცია კულტურის სფეროში საკითხების მოგვარების მიზნით, პირველ რიგში, 70-იან წლებშივე შოთა რუსთაველის საზოგადოებას აარსებს.

დანი ლევიამვილის იუმორისტულ ნოველაში „მშვიდობის საშიშროება“¹⁰ მოთხრობილია ესპანეთის ინკვიზიციის პერიოდის შესახებ. გაზეთის რედაქტორისა და თანამშრომლის დიალოგი წარმართება ისრაელ-ეგვიპტეს შორის მოსალოდნელი მშვიდობის განხილვის ფონზე. გაზეთის რედაქტორის აზრით, სადისკუსიო საკითხი - მოსალოდნელი მშვიდობა ჟურნალისტიკისთვის დიდი საშიშროების შემცველია. მშვიდობის აცხადება მშვიდობის დამყარებაზე უფრო რთული უნდა იყოს. ჟურნალისტები დაგეჟილები ეძებენ ახალ ამბებს. რამ უნდა აცოცხლოს ჟურნალისტიკა, თუ არც გამანადგურებელი ცნობები იქნება, არც მოულოდნელი ვიზიტები, არც ტყუილი განცხადებები, არც სენსაციები, სკანდალები და სიურპრიზები. ერთადერთ გამოსავლად გაფიცვა და გაზეთის არგამოშვება დაისახა, რასაც ჯერ განცხადება უნდა უძღოდეს, თუ რა მიზეზით გაიფიცნენ და რატომ არ გამოიცემა მომდევნო ნომერი.

გაზეთში წარმოდგენილია ისეთი ჩანახატებიც, სადაც რეალურად არსებული ისრაელური ყოფის ფონზე ესა თუ ის ამბავია მოთხრობილი. სტატიებში განმარტებულია რა არის „მოშავი“, „კიბუცი“... მიშელ იაკობაშვილის მოთხრობაში „რატომ“¹¹ კიბუცური ცხოვრების ფონზე ქართველი ებრაელი ახალგაზრდის ცხოვრებაა აღწერილი, რომელიც წლების მანძილზე ებრაელების მიერ დაცულ ერთ-ერთ მთავარ წეს-ჩვეულებას დაარღვევს. ზოგადად, „კიბუცი“ ისრაელის მიწაზე ებრაელების დასახლებების სიმბოლოდ არის ქცეული, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტივია, რომელიც საერთო ქონებაზე, წარმოებისა და გამოყენების საშუალებებზეა დაფუძნებული. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ახალი რეპატრიანტების დიდი ნაწილი ისრაელში ასვლის შემდეგ კიბუცში ცხოვრებას ირჩევდა, თუმცა ქართველი ებრაელები იშვიათად აკეთებდნენ ასეთ არჩევანს. მოთხრობის „რატომ“ მთავარი პერსონაჟია გია, რომელიც ოლე ხადაშია (ახალი რეპატრიანტი), 5 წელია ცხოვრობს ისრაელში, მშვენივრად დაუფლავ ივრითს. რელიგიური ოჯახის შვილია და თვითონაც მონაწილეა იმ ტრადიციების,

¹⁰ „ალია, N332

¹¹ „ალია, N333

რომელსაც მისი ოჯახი მკაცრად იცავს. იგი ოჯახისგან მოშორებით ერთ ლამაზ კიბუცში ცხოვრობს და ჩართულია ყველანაირ სამეურნეო საქმიანობაში. გია აღწერს მხიარულ კიბუცურ ცხოვრებას, სადაც შრომობს, მაგრამ გიტარაზე დაკვრითაც გართობაშიც შეაქვს თავისი წვლილი. მან სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა და, როგორც ექიმი, სხვადასხვა დაავადებათა შესახებ საკვლევ თემაზე მუშაობს. მშობლები საყვედურობენ, რომ ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობს და სთავაზობენ კანდიდატურებს, ის კი იუმორით უყურებს ამ საკითხს: მშობლების მიერ შემოთავაზებული რომელი ქართველი ებრაელი გოგონა მოინდომებს მასთან ოჯახის შექმნას, ექიმმა ქალაქში ცხოვრებას კიბუცი ამჯობინაო - ასე იტყვიან. “აბა, რა ქართველის საქმეა კიბუცი” - ხუმრობს იგი. კიბუცელს ხომ სკინტლისა და ნეხვის სუნი ასდის... მაგრამ გიას უყვარს იქაურობა, თუმცა ხერმონის მთების სილამაზით მოხიბლულსა და კარგ ხასიათზე მყოფს, ქართული ენაც ენატრება და ამბობს: “ქართული მომენტრა, ჩემი ქართული. რამდენი ხანია ქართული სიტყვა არ გამიგონია”... მან ყველაფერს მიაღწია, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, თუმცა დაოჯახების საკითხში, რაც ასე ანერვიულებდა მის მშობლებს, არავინ ჩარია, უხეშად დაარღვია ებრაული წესი და ცოლად მოიყვანა არა ებრაელი, მით უმეტეს, არა ქართველი ებრაელი, არამედ ქრისტიანი. მოთხრობა იმით არის საინტერესო, რომ წმინდა ებრაულ გარემოში, კიბუცური ცხოვრების პირობებში, ქართულ ენაზე, ქართულ ყოფაზე ხშირი აქცენტი გაკეთებული - კიბუცელს კიბუცში დამოუკიდებელი ცხოვრება, იქაური ცხოვრების წესი და ისრაელის ბუნება მოსწონს, მაგრამ ხანდახან მაინც ენატრება ქართული...

გაზეთ „ალიას“ მრავალწლიანი არსებობის მანძილზე თითქმის ყველა ნომერში ლიტერატურის რუბრიკაში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პროზაული თუ პოეტური ქმნილებებიდან ასეთი საილუსტრაციო ნიმუშების მოხმობა უხვად შეიძლება...

და ბოლოს, მოპოვებული საკვლევი ბეჭდური მასალის მიხედვით განხილული და თემატურად კლასიფიცირებულია ისრაელში გამოცემული XX საუკუნის 70-იანი წლების ქართულენოვანი ქმნილებები, რომელთა ლიტერატურული მახასიათებლების გამოსავლენად გაანალიზებულია ამ პერიოდის თითქმის ყველა წიგნი, ხოლო გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული სამწერლობო მასალა, პროზისა და პოეზიის ნიმუშები ¹² ნაწილობრივ (მათი სიმრავლის გამო). გამოვლენილია თითოეული ნაწარმოების იდეური დანიშნულება, მხატვრული ღირებულება, ენობრივი თავისებურებებიც კი, ვინაიდან შემოქმედი, რომელიც მთელი ცხოვრება წერდა და საუბრობდა ქართულ ენაზე და ისრაელშიც იმავს აგრძელებს, იცვლის რა საზოგადოებრივ გარემოს, რომლისთვისაც მისი შემოქმედება უკვე გაუცხოებულია, ცდილობს ენობრივ ინტეგრაციას ახალთან, რის გამოც მის სამწერლობო ენაში ახალი ელემენტებიც ჩნდება. აღინიშნა, რომ ასეთი სიახლე ამ პერიოდის სამწერლობო ენაში გამოიხატა ებრაიზმების მოჭარბებით ¹³.

¹² ლ. გულედანი, პატრიოტიზმი ისრაელში გამოცემულ 70-იანი წლების პოეზიის ნიმუშებში, VII საერთაშორისო კონფერენციის „კულტურათაშორისი დიალოგები“ მასალები, თელავი, 2023, გვ. 321

¹³ Lali Guledani, Linguistic Peculiarities of Georgian Periodicals Issued in Israel in the 1970s, 6th edition of the International Language and Territory Colloquium, June 26th to June 30th 2023, at the Royal Hotel in Hammamet (Tunisia).

დამუშავებული ვრცელი საილუსტრაციო მასალიდან სტატიაში წარმოდგენილი მცირე ნაწილის მიმოხილვაც კი თვალსაჩინოს ხდის, რომ ისრაელში გამოცემული ქართველი ებრაელი მწერლების შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია: პატრიოტულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს ენაცვლება სასიყვარულო თემატიკა, ოსვენციმის თემას ენაცვლება ამბები ესპანეთის ინკვიზიციის შესახებ, ავტორის ფანტაზიით შექმნილ ამბავს - ალეგორიული ხასიათის მოთხრობები, იუმორისტულ მოთხრობებს - რეალური, ისტორიული ხასიათის მოთხრობები და ა.შ. ნაწარმოებების ერთ ნაწილში ებრაელი ჯარისკაცების მიმართ დიდი სიყვარული გამოსჭვივის, მეორეში ისრაელის მიმართ პატრიოტული თავდადება, სხვაგან საქართველოს მონატრებაა გადმოცემული. არის მსუბუქი, გასართობი მოთხრობებიც, რომელთაც ძალიან პრიმიტიული სიუჟეტი და ზღაპარივით ბედნიერი დასასრული აქვთ.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ რა თემატიკისა და იდეური დატვირთვისაც არ უნდა იყოს ესა თუ ის წიგნი, მოთხრობა ან ჩანახატი, როგორი ბევრი ებრაიზმიც არ უნდა იძებნებოდეს ნაწარმოების ენაში, ებრაული ყოფისთვის დამახასიათებელ როგორ რეალურ ეპიზოდზეც არ უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული (მაგალითად, ისრაელის „კიბუცებსა“ და „მოშავებში“ ცხოვრება), ქართველი ებრაელი მწერლების შემოქმედება მეტწილად გამართული ქართულითაა დაწერილი, ინარჩუნებს ქართული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს და ამ ლიტერატურასთან ენობრივი ინტეგრაციის ტენდენციას, ანუ ტერიტორიული დისტანციის მიუხედავად, ამ პერიოდის მწერლებს შენარჩუნებული აქვთ ის, რაც საქართველოდან გამოჰყვათ. აქვე ხაზი უნდა გაესვას ქართველი ებრაელი მწერლებისა და პოეტების რაოდენობას - სიმრავლეს, რაც თავს იჩენს ისრაელში და არ დასტურდება საქართველოში მათი ცხოვრების დროს, თუმცა ამასაც აქვს თავისი ახსნა: მათ ისრაელში გაიყოლეს ქართული სულიერი ფასეულობანი, დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და ჯერ კიდევ უცხო გარემოში გრძნობათა ჭიდილით (დროებითი იმედგაცრუება, მაგრამ ისრაელის მიმართ უსაზღვრო პატრიოტიზმი, ამავედროულად, საქართველოს ძლიერი მონატრება, ნოსტალგია, სევდა და ა. შ.) გამოწვეულ ვნებათა ღელვას შემოქმედებითი საქმიანობით აბალანსებენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 70-იანი წლების ქართველ ებრაელთა მწერლობის თავისებურებათა ძიება, ჩვენი აზრით, გამოკვეთს, ერთი მხრივ, მის ტრადიციულობას (ანუ იმას, რომ ეს მწერლობა ქართული მემკვიდრეობის ორგანული, განუყოფელი ნაწილია), მეორე მხრივ, ავლენს ებრაული აზროვნებისა და ისრაელური რეალობის მცირე გავლენასაც.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. „ალია“, გაზეთი, რედ. აბრაამ საპირი, N350, N332, N333, ...1978.
2. ბააზოვი ფანი, დავით და გერცელ ბააზოვები, ებრაული უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ-ევროპის ებრაელობის დოკუმენტაციის ცენტრი, ებრაელთა ისტორიის კვლევითი საზოგადოება, თელ-ავივის უნივერსიტეტი, 1976.

3. გულედანი ლალი, პატრიოტიზმი ისრაელში გამოცემულ 70-იანი წლების პოეზიის ნიმუშებში, VII საერთაშორისო კონფერენციის „კულტურათაშორისი დიალოგები“ მასალები, თელავი, 2023.
4. ელიაშვილი ნათან, „ქართველი ებრაელები საქართველოში და ერეც ისრაელში“, თელ-ავივი, 1975.
5. ნავროზაშვილი ეკა, „გალობა-გალობათა სოლომონის“- პოეტიკა, სემანტიკა და თარგმანი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები (მიძღვნილი პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი), თეზისები, 31 მარტი 2021, გვ. 81-84
6. შალელაშვილი იეჟდა, „ქალის ამბორი“, თელ-ავივი, 1977.
7. ცური იაკობ, „და აღდგა ხალხი“, გაფანტულობის ქვეყნებში მყოფ ებრაელ თემთა გამოკვლევის საზოგადოება, იერუსალიმი, 1971.
8. Guledani Lali, Linguistic Peculiarities of Georgian Periodicals Issued in Israel in the 1970s: 6th edition of the International Language and Territory Colloquium, June 26th to June 30th 2023, at the Royal Hotel in Hammamet (Tunisia).